წერილის ნომერი:პ/20370904
თარიღი: 15/02/2024

**ადრესატი:**

გიორგი გაზდელიანი
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლენტეხის მუნიციპალიტეტის სკრებულოს

სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი N 01

დ. ლენტეხი 13 თებერვალი. 2024 წ.

მ/წ 13 თებერვალს, დღის 11 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის თავმჯდომარე - ზურაბ ონიანი, კახა ლიპარტელიანი (კომისიის წევრი), დავით პირველი (კომისიის წევრი). სხდომის მდივანი - ხანი ბენდელიანი.

დღის წესრიგი: მცხოვრებ დაბა ლენტეხში, პ/ნ 27001003982, მარიკა მუკბანიანის განცხადების განხილვა. ( N19/97240311-97 31.01.2024 წ.)

/ მომხს: კომისიი თავმჯდომარეზ. ონიანი/

სხდომის თავმჯდომარემ ზურაბ ონიანმა, კომისიის წევრებს გააცნო დაბა ლენტეხში მცხოვრები მარიკა მუკბანიანის განცხადება. განცხადების და თანდართული დოკუმენტაციის თანახმად ქალბატონი მარიკა არის მარტოხელა, ონკოლოგიური ავადმყოფი. მან თურქეთში გაიკეთა ოპერაცია, დღემდე გადის ქიმიო-თერაპიულ კურსს, რომელიც დიდ ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული და ითხოვს ფინანსურ დახმარებას. ( დოკუმენტაცია თან ერთვის).

კომისიის თავმჯდომარემ ამავე დროს აღნიშნა, რომ კომისიამ შეისწავლა საკითხი და მიიღო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ანალოგიური განცხადება მარიკა მუკბანიანს შეტანილი ჰქონდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიაში და „ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების წესის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18 იანვრის N2 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად გაეწია დახმარება 1000(ერთი ათასი) ლარის ოდენობით.

**საკრებულოს სოც საკითხთა კომისიამ იმსჯელა და გადაწყვიტა:**

მიუხედავად იმისა, რომ საკრებულო ყველანაირად ითვალისწინებს დაბა ლენტეხში მცხოვრებ, მძიმე სენით დაავადებულ მარიკა მუკბანიანის ოჯახურ და ეკონომიურ მდგომარეობას - ცალკე საკრებულოს არ გააჩნია უფლებამოსილება იმისთვის, რომ მერიის შესაბამისი სამსახურისგან დამოუკიდებლად დამატებით გასცეს ფინანსური დახმარება. შესაბამისად მარიკა მუკბანიანის განცხადება ამ ეტაპზე ვერ დაკმაყოფილდება, მაგრამ თუ მერია დაუშვებს გამონაკლისს და შემოიტანს წინადადებას მარიკა მუკბანიანის დასახმარებლად სარეზერვო ფონდიდან გარკვეული თანხის გამოყოფის თაობაზე, საკრებულოს შესაბამისი კომისია გამოთქვამს მზადყოფნას მერის წინადადებას მისცეს თანხმობა.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის სხდომა დამთავრდა დღის 12 საათზე.

ზურაბი ონიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სოციალურ საკითხთა კომისია-სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე